პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 5 (4515)

1972 წ. 8 იანვარი, შაბათი. ფასი 8 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## განთიადელთა ჩემპიონატი

დამთავრდა „განთიადის" ... საქალაქო საბჭოს მოჭადრაკეთა პირველობა. ტურნირის მონაწილეთა შორის 8 ოსტატობის კანდიდატი იყო.

ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა „თბილქალაქპროექტის" ინჟინერმა თ. დეკანოზიშვილმა. ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს აგრეთვე, სპორტკლუბ „ივერიის" წევრმა მ. ფრინდიშვილმა (II ადგილი), „საქწყალკანალპროექტის" ინჟინერმა დ. ექვთიმიშვილმა (III), რ. კაპანაძემ, შ. ჭრელაშვილმა (ორივე — სპორტკლუბი „ივერია") და „თბილქალაქპროექტის" ტოპოგრაფმა მ. ჭიპაშვილმა (IV-VI ადგილები).



შეკრებილთ ესალმება ლ. თედიაშვილი.



საახალწლო მაგიდას უსხედან სტუმრები (მარცხნიდან) — გ. ყვარელაშვილი, ა. მარტყოფლიშვილი, ლ. ასატუროვა.

ჭადრაკი

## გაიმარჯვა „ივერიამ"

დედაქალაქის სპორტკლუბების მოჭადრაკეთა გუნდურ პირველობაში 7 კოლექტივი მონაწილეობდა.

I ქვეჯგუფში გამარჯვების ბედი „სინათლისა" და „ივერიის" გუნდების მატჩში გადაწყდა. „ივერიამ", რომელიც მაუდის კომბინატის ღირსებას იცავდა, მეტოქეს სძლია ანგარიშით 3:1. რ. კაპანაძემ მოუგო ოსტატ დ. ჯანოევს, ა. გოგოლაძემ — ოსტატ ი. ვეტოხინს, ლ. მოსიაშვილმა — ლ. ერისთავს. II ქვეჯგუფში იმარჯვა „განთიადის" სპორტკლუბმა.

ფინალში უძლიერესის სახელი „ივერიამ" დაისაკუთრა — 3,5:0,5.

ო. ალხანიშვილი,
ჩემპიონატის მთავარი მსაჯი.



ბ. პაიჭაძე (მარჯვნივ) ინსტიტუტის ფეხბურთელებს სიგელებს გადასცემს.

● რიო-დე-ჟანეირო, 6 იანვარი. 12 წლის მანძილზე პირველად მოხდა, რომ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი პელე არ შეიყვანეს ბრაზილიის ფეხბურთელთა სიმბოლურ ნაკრებში, რომელიც შეადგინა ვაზეთმა „ესტადუ დი სან-პაულუმ". გამოკითხვაში მონაწილეობდა ამ ქვეყნის 65 ჟურნალისტი. „ფეხბურთის მეფემ", როგორც ამას სპეციალისტები აღნიშნავენ, უკანასკნელ ხანებში ძალიან უკლო ბურთების კარში გატანას. სხვათა შორის, მეხიკოს მსოფლიო ჩემპიონატის თერთმეტი სნაიპერის სიაში ბრაზილიიდან შევიდნენ მხოლოდ რიველინო და ჟაირზინიო.

● დუბლინი, 6 ივნისი. 1974 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში სსრ კავშირის ნაკრების მეტოქე — ირლანდიის ნაკრები საკუთარ მინდორზე ამხანაგურ მატჩში შეხვდა გფრ-ის ოლიმპიურ გუნდს და დაამარცხა იგი — 3:0.

● კოლინი (ჩეხოსლოვაკია), 6 იანვარი. ამ ქვეყანაში სტუმრად მყოფმა ვოსკრესენსკის „ხიმიკის" ჰოკეისტებმა აქ მოუგეს ადგილობრივ „ტატრას" — 6:2.

● რიგა, 6 იანვარი. სსრ კავშირის ჩემპიონმა, რიგის ტტტ-ს კალათბურთელ ქალთა გუნდმა ევროპის ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალურ მატჩში დაამარცხეს პრაღის „სპარტა-ჩკდის" სპორტსმენები — 91:53. საპასუხო შეხვედრა გაიმართება 13 იანვარს, პრაღაში.

● კრანიცაა-გორა (იუგოსლავია), 6 იანვარი. აქ გაიმართა ევროპის, აზიისა და ამერიკის უძლიერეს მოთხილამურეთა საერთაშორისო ასპარეზობა გიგანტურ სლალომში, რომელშიც 96 სპორტსმენი მონაწილეობდა. გაიმარჯვა შვეიცარიელმა ვ. ბატლმა. მან რთული 1300-მეტრიანი ტრასა (პირველ ცდაზე 59 კარი, მეორეზე — 60, სიმაღლეთა სხვაობა 303) დაფარა 2 წუთსა და 43,68 წამში. შარშანდელ შეჯიბრებაში გამარჯვებული ფრანგი ჟ. ბონევი დაეცა და ასპარეზობას გამოეთიშა. საბჭოთა სპორტსმენები უხეიროდ გამოვიდნენ. მათგან საუკეთესომ, მოსკოველმა სტუდენტმა ა. ტორმოსინმა მხოლოდ 52-ე ადგილი დაიკავა — 3.06,74.

● ობერშტაუფენი (გფრ), 6 იანვარი. მოთხილამურე ქალთა შორის მსოფლიო თასის წლევანდელ გათამაშებას სათავეში ჩაუდგა 20 წლის ფრანგი ფ. მაჩჩი, რომელმაც ორი გამარჯვება იზეიმა ბავარიის ალპების ამ სახელგანთქმულ „სამთოსათხილამურო" პატარა ქალაქში გამართულ შეჯიბრებაში. მან ჯერ მოიგო გიგანტური სლალომი, როცა 1300-მეტრიანი ტრასაზე (60 კარი, სიმაღლეთა სხვაობა 303) 1.38,27 აჩვენა და ნახევარი წამით მოუგო თასის აწგამინდელ მფლობელს, 18 წლის ავსტრიელს ა. პრელს. მეორე დღეს მაჩჩი უძლიერესი იყო სპეციალურ სლალომშიც.

● მელბურნი, 6 იანვარი. ავსტრალიელ მძლეოსანთა შეჯიბრებაში ე. ჯონსონმა 24 სანტიმეტრით გააუმჯობესა ეროვნული რეკორდი ჰოკით ხტომაში — 519 სმ.

● ვინიპეგი, 6 იანვარი. კანადის ამ ქალაქში გამართულ მძლეოსანთა ასპარეზობაში 19 წლის ამერიკელმა ქალმა შ. ტუსენმა 600 იარდის გარბენას 1.21,6 მოანდომა. ეს შედეგი 0,6 წამით სჯობს მსოფლიო მიღწევას დახურული დარბაზებისთვის.

● ჰასტინგსი, 6 იანვარი. საახალწლო საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირს ლიდერობს ორივე საბჭოთა წარმომადგენელი. I ადგილზე კვლავ ა. კარპოვია, რომელსაც 6 ქულა დაუგროვდა VII ტურში ინგლისელ კინთან გამარჯვების შემდეგ. მას 1,5 ქულით ჩამორჩება ვ. კორჩნოი.

● გრონინგენი, 6 იანვარი. ჭაბუკ მოჭადრაკეთა ევროპულ ჩემპიონატში 6 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ უნგრელი საკსი და ბორნაგასერი (გდრ). მათ 5-5 ქულა აქვთ. მოსკოველი გორჩაკოვი 3 ქულით V-VI ადგილს იყოფს იუგოსლაველ მარიანოვიჩთან.



ცეკვავენ ზეიმის მონაწილენი.

ა. კავკასიძის ფოტოები.

## საახალწლო სტუმრობა

ახალი წლის პირველ რიცხვებში საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტს ცნობილი სპორტსმენები ეწვივნენ. აქ იყვნენ სპორტის დამსახურებული ოსტატები ბ. პაიჭაძე და ს. შუდრა, მსოფლიო ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში ლ. თედიაშვილი, სსრ კავშირის ჩემპიონი გ. ყვარელაშვილი, სსრ კავშირისა და ევროპის ექს-ჩემპიონი ძიუდოში ა. მარტყოფლიშვილი, სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონი ლ. ასატუროვა.

ჩვენმა სახელგანთქმულმა სპორტსმენებმა ახალი წელი მიულოცეს სტუდენტებს, შემდგომი წარმატებები უსურვეს სწავლასა და სპორტში. ბ. პაიჭაძემ სიგელები გადასცა ინსტიტუტის ფეხბურთელებს ბოლო წლებში მოპოვებული წარმატებებისთვის.

მერე ნორჩმა ტანმოვარჯიშეებმა დამსწრეთ თავიანთი ოსტატობა უჩვენეს. სტუმრებიცა და მასპინძლებიც დიდხანს მხიარულობდნენ საახალწლო ნაძვის ხის გარშემო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გულგრილობის, უზრუნველობის შედეგი

საქართველოს მძლეოსნებმა სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში მაინცდამაინც ვერ გაგვახარეს. მხოლოდ ორი ჩემპიონი (ა. მოშიაშვილი და ვ. სანეევი) და რამდენიმე სხვა ადგილი, რომლებმაც ნაკრებს ქულა მისცა, დიდი ვერაფერი მოსავალია.

ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებს გასულ სეზონში სახარბიელო მაჩვენებლები რომ არ ჰქონდათ, ამას მძლეოსნობის საკავშირო ფედერაციის მიერ შედგენილი ქვეყნის 10-10 საუკეთესო მძლეოსნის სიები ადასტურებს. ამ სიებში საქართველოდან მხოლოდ ორი ქალი და ოთხი ვაჟია წარმოდგენილი. ქალთა შორის ვხვდებით თბილისის სპარტაკელ ლ. იევლევას, — 100 მეტრზე თარჯრბენში (VI ადგილი) და თბილისის დინამოელ ლ. ტუღუშს — ბადროს ტყორცნაში (IV ადგილი). ტუღუში მართლაც ქების ღირსია: ორი შვილის დედამ, 36 წლის ქალმა, რესპუბლიკის ინტერესებისთვის თითქმის შეუძლებელი შეძლო, მონდომებული, ინტენსიური ვარჯიშით მანამდე მისთვის მიუღწეველი ზღვარი გადალახა, 57,84 მეტრი აჩვენა და საგრძნობლად გააუმჯობესა საქართველოს ძველი რეკორდი, რომელიც თითქმის 20 წლის წინ სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნ. დუმბაძემ დაამყარა.

ვაჟთა შორის საუკეთესოთა ათეულის სიის სათავეში არიან: ოლიმპიადის ჩემპიონი, სოხუმის დინამოელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. სანეევი — სამხტომში (ეს არავის გაკვირვებია, ვინაიდან უკვე არაერთი წელია სანეევს ამ სახეობაში სსრ კავშირში ბადალი არა ჰყავს), და თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი, დინამოელი ა. მოშიაშვილი — 110 მეტრზე თარჯრბენში. სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში ჩემპიონობის მოპოვება მისი პირველი ყველაზე დიდი წარმატება იყო, შემდეგ გამართულ შეჯიბრებაში კი მან სსრ კავშირის რეკორდიც (13,7) გაიმეორა, ასეთი მაჩვენებელი სსრ კავშირში გასულ სეზონში მოშიაშვილის მეტს არავის ჰქონია.

თბილისელი ოსტატი ი. დელა-როსა („განთიადი") 50 კმ-ზე სპორტულ სიარულში საკავშირო ელიტაში III ადგილზეა (მსოფლიოში — V). სპარტაკიადაში მან III ადგილი დაისაკუთრა. საუკეთესოთა შორის აგრეთვე მესამეა ბადროს ტყორცნაში სსრ კავშირის ექს-რეკორდსმენი, თბილისის დინამოელი გ. გუდაშვილი, მაგრამ სპარტაკიადაში იგი ცუდად გამოვიდა.

საუკეთესოთა ათეულში ვერ მოხვდა უროს ტყორცნაში სსრ კავშირის რეკორდსმენი იუნიორთა შორის ი. ფხაკაძე („დინამო"). იგი X ადგილზე მყოფ კიეველ ა. მაქსიმოვთან (69,76 სმ) მხოლოდ 2 სანტიმეტრს აგებს.

ამრიგად, საქართველოს 6 სპორტსმენიდან, რომლებმაც ქვეყნის საუკეთესო მძლეოსნების სიაში ადგილები დაიმკვიდრეს, 4 დინამოელია. ეს მოწმობს, რომ საქართველოს სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებს შორის „დინამომ" ყველაზე უკეთ იმუშავა სპარტაკიადისთვის მაღალკვალიფიციური მძლეოსნების მოსამზადებლად.

რესპუბლიკაში „სპორტის დედოფლის" განვითარების საერთო სურათი აშკარად საგანგაშოა. ეს მით უფრო გულდასაწყვეტია, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ, სპორტკომიტეტმა, მძლეოსნებს სპარტაკიადისთვის კარგად მომზადების ყველა პირობა შეუქმნეს, მაგრამ ნაკრების ხელმძღვანელობამ, მწვრთნელებმა და თვით სპორტსმენებმაც ამ დიდი შეჯიბრებისთვის მზადების პერიოდში სათანადო პრინციპულობა ვერ გამოიჩინეს: ხშირი იყო წვრთნის რეჟიმის, შრომის დისციპლინის დარღვევის ფაქტები, მწვრთნელთა და ნაკრების ხელმძღვანელთა არაკოლეგიალური დამოკიდებულება, საქმისადმი გულგრილობა, უსულგულობა.

დასამალი არც ის არის, რომ ნაკრების წევრთა დიდ უმრავლესობას თბილისელი მძლეოსნები შეადგენდნენ. სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში საქართველოს მძლეოსნების უხეირო მაჩვენებლებზე თავის დროზე რესპუბლიკის ფიზკულტურული აქტივის კრებამ იმსჯელა. ამას წინათ კი ფიზკულტურის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში გაიმართა აქტივის კრება, რომელიც თბილისში მძლეოსნობის მდგომარეობასა და მისი განვითარების ღონისძიებებს მიეძღვნა.

მოხსენებით გამოვიდა მძლეოსნობის საქალაქო ფედერაციის თავმჯდომარე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. დუმბაძე, თანამომხსენებლებით: ქალაქის მძლეოსნობის მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარე ე. გაგუა და რესპუბლიკის ნაკრების უფროსი მწვრთნელი კ. მალიშკოვი.

კამათში მონაწილეობდნენ თბილისის მძლეოსნობის მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე ნ. გაგოშიძე, თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგე, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ე. გოკიელი, რესპუბლიკის მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარე, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ბ. დიაჩკოვი, საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის თავმჯდომარე ვ. სამსონაძე, „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე გ. ცქიტიშვილი, „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ვ. ჭლენტი, საქართველოს სპორტკომიტეტის საწყლოსნო და მასობრივი სახეობების განყოფილებათა გამგე ს. ჯაიანი.

აქტივის კრებაზე აღინიშნა ყველა ის ნაკლი, რაც თბილისში მძლეოსნობის განვითარებას უშლის ხელს.

### მძლეოსანთა საქალაქო აქტივის კრებაზე

ითქვა, რომ სპორტსაზოგადოებათა საბჭოებისა და უწყებების ხელმძღვანელები მთლიანად არ ასრულებენ ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებებს მძლეოსნობის განვითარების თაობაზე. ნ. დუმბაძემ ამის მაგალითად დაასახელა „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭო და არმიის სპორტკლუბი. მან აღნიშნა, რომ ასკ-ს სტადიონის მძლეოსნობის ბაზად გადაკეთების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება დღემდე შეუსრულებელია. იგივე შეიძლება ითქვას ქალთა შორის მძლეოსნობის განვითარების, უმაღლეს სასწავლებლებში მუშაობის დონის ამაღლებისა და სხვათა შესახებ.

თუ ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტის მონაცემებს დავუჯერებთ, მძლეოსნობა დანერგილია თბილისის 403 კოლექტივში, სადაც ამ სახეობაში 16000 კაცი მეცადინეობს, საქალაქო ტურნირებში კი მთელ რიგ სახეობებში მონაწილენიც ვერ გამოჰყავთ. ხშირად ზოგ სახეობაში მხოლოდ 3-4 კაცი ცდის ძალას. თბილისელ სპორტსმენთა მაჩვენებლები მრავალჭიდში, სტაიერულ დისტანციებზე, თარჯრბენსა და წინაღობებით რბენაში, ჭოკით ხტომასა და სხვა სახეობებში მასობრივად დაბალია. თითო-ოროლა მძლეოსნის წარმატება საქმეს ვერ უშველის. როგორც გაირკვა, თბილისში მომუშავე 120 მწვრთნელიდან მნიშვნელოვანი ნაწილი უგულისყუროდ ეკიდება თავის საქმეს.

მომხსენებელმა ილაპარაკა ინვენტარზე, ბაზების მდგომარეობაზე, გააკრიტიკა „შრომითი რეზერვების", სპორტკლუბ „სინათლის" სტადიონების დირექციები, რომლებიც მძლეოსნობაში ვარჯიშისთვის პირობებს არ ქმნიან, დაახასიათა თბილისის რაიონებში და სკოლებში „სპორტის დედოფლის" მდგომარეობა, შეუწყნარებლად მიიჩნია ის ფაქტი, რომ მძლეოსნობას ბევრ სკოლაში ყურადღება არ ექცევა.

ნ. დუმბაძემ თქვა, რომ თბილისში საკავშირო შეჯიბრებები არ ეწყობა ხეირიანი ბაზის უქონლობის გამო. ტალანტების ძიებისა და აღზრდის საქმე სათანადო დონეზე არ დგას. სპორტსაზოგადოებებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელები მძლეოსნობის საქალაქო ფედერაციის სხდომებზე არც კი დადიან. მანვე ილაპარაკა ახალ საცხოვრებელ მასივებში მძლეოსნობის განვითარების დონის შესახებ.

ე. გაგუამ სასტიკად გააკრიტიკა ქალაქის მწვრთნელთა საბჭო, რომელიც ჩამორჩა ტემპებს. მართალია, ბევრი რესპუბლიკური რეკორდი გაუმჯობესდა, მაგრამ ამ მიღწევათა უმეტესობა თავისთავად საერთაშორისო დონეს საგრძნობლად ჩამორჩებოდა. ე. გაგუამ აღნიშნა, რომ ბავშვთა სპორტსკოლებსა და სპორტული ოსტატობის სკოლებში ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას სათანადო ყურადღება არ ეთმობა, ბავშვთა სპორტსკოლების მუშაობის დონე დაბალია. ეს ყველაზე ნათლად მოსწავლეთა წლევანდელ რესპუბლიკურ სპარტაკიადაში გამოჩნდა: თბილისელმა გოგონებმა აფხაზეთის ნაკრებთან წააგეს. ქალაქში მოუგვარებელია კადრების აღრიცხვისა და განაწილების საკითხი. ხშირია მწვრთნელთა საზოგადოებიდან საზოგადოებაში, სკოლიდან სკოლაში გადასვლისა და აღსაზრდელთა გადაყვანის შემთხვევები.

კ. მალიშკოვმა ძირითადად სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში თბილისელ მძლეოსანთა შედეგებზე და ჩამორჩენის მიზეზებზე ილაპარაკა. მან დაახასიათა მდგომარეობა ცალკეულ სახეობებში, თქვა, რომ მოზრდილთა ნაკრები მოზარდებისგან სათანადო შევსებას ვერ იღებს, დაბალია შეჯიბრებების კულტურა. აღინიშნა, რომ შედეგების ზრდას ვარჯიშისთვის სათანადო პირობების უქონლობაც აფერხებს, ცხელი წყალი „ლოკომოტივის" სტადიონზეც კი არასოდეს არის.

ნ. გაგოშიძემ შეკრებილთ უამბო „სპარტაკის" ორგანიზაციებში მძლეოსნობის მდგომარეობისა და თბილისში შეჯიბრებების ორგანიზაციაზე, გააკრიტიკა მსაჯთა კოლეგიის ძველი პრეზიდიუმი, რომელმაც მინდობილ საქმეს ვერ მოუარა. მან თქვა, რომ ხშირი იყო შემთხვევები, როცა შეჯიბრებებისთვის არბიტრები არ ჰყოფნიდათ.

ე. გოკიელმა აქტივის ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ საქართველოს მძლეოსნები უკვე რამდენიმე წელია უკან იხევენ. ვეტერანებმა ამის გამო ხმა დროით აიმაღლეს, მაგრამ უშედეგოდ. მისი სიტყვით, ბაზების უქმარობასა და უვარგისობას ისიც მოწმობს, რომ საქართველოს ნაკრები სპარტაკიადისთვის სხვა რესპუბლიკების ქალაქებში ემზადებოდა. ამას იმდენი ზედმეტი ხარჯი დასჭირდა, რაც საკუთარი ბაზების კეთილმოსაწყობადაც კარგად იკმარებდა.

ე. გოკიელმა დაახასიათა უმაღლეს სასწავლებლებში მძლეოსნობის განვითარების დონე, რასაც საკუთარი ბაზების უქონლობა და სათანადო შტატების სიმცირე აფერხებს. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში მძლეოსნობას მხოლოდ 2 მწვრთნელი და 2 მასწავლებელი ემსახურება. უნივერსიტეტის ახალ კორპუსთან, სადაც ათასობით სტუდენტი სწავლობს, არავითარი სპორტული ნაგებობა არ არის.

მოკამათეები შეეხნენ სხვა საკითხებსაც. აღინიშნა, რომ თბილისში მძლეოსანთა ისეთი მასობრივი შეჯიბრებების გაუქმებამ, როგორიც რაიონებს შორის ტურნირი იყო, საქმე შეაფერხა. ისიც დანაშაულად მიიჩნიეს, რომ საპასუხისმგებლო ტურნირების წლებში ნაკრების წევრ-სპორტსმენთა გარდა სხვა მძლეოსნები ყველას ავიწყდება.

კრებაზე ყველა გულისტკივილით ლაპარაკობდა, მაგრამ არც მომხსენებელს, არც თანამომხსენებლებს და არც მოკამათეებს ერთი კაციც არ დაუსახელებიათ მათგან, ვინც ცუდად მუშაობს და ჩამორჩენაში ბრალი მიუძღვის. სწორედ ეს აღნიშნა ს. ჯაიანმა, რომელმაც თქვა, რომ მთავარი დამნაშავე ისევ მძლეოსნობის ფედერაციაა.

აქტივის მუშაობა შეაჯამა ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. შარაშიძემ.

კრებამ მიიღო რეზოლუცია.



ეტიუდი.

ბ. კამენსკის ფოტო.

## მკითხველთა თხოვნით

# ვინ არის კოტე კაიშაური?

**მკითხველები ვ. გიგაური (დუშეთი), ა. ჯანიაშვილი (მარნეული) და ი. გურგენიძე (თბილისი) გვეკითხებიან: ვინ არის კონსტანტინე კაიშაური, იუნიორ მოჭადრაკეთა ევროპის პირველ ჩემპიონატში შვეციის სახელით რომ თამაშობს.**

ინტერვიუ

ჩვენ გავიცანით კოტეს მამა — — გიორგი კაიშაური. იგი თბილისში ცხოვრობს. ეწევა კულტურულ-საზოგადოებრივ საქმიანობას, თარგმნის წიგნებს. მკითხველთა წერილები რომ ვაჩვენეთ, თვალები სიხარულით გაუბრწყინდა.

— ვინც გაიგებს, რომ კოტეს მამა ვარ, მაშინვე მეკითხება, როგორ მოხვდა თქვენი ვაჟი შვეციაშიო? გასაგებია ადამიანური ცნობისმოყვარეობა, — გვითხრა ღიმილით გიორგიმ და წუთით დადუმდა. ფიქრობდა, საიდან დაეწყო თხრობა.

— კოტე ჩემი უმცროსი ვაჟია, — განაგრძო მერე. — იგი თბილისში დაიბადა 1952 წელს. 1-ელ საშუალო სკოლაში სწავლობდა. მე-2 კლასში რომ გადავიდა, 1960 წელს, დედამისმა პოლონეთში წაიყვანა. საქმე ის არის, რომ ჩემი მეუღლე ხანკა პოლონელი გახლავთ. იგი თბილისში შევირთე სამამულო ომის მიწურულს. ევაკუირებული იყო ვარშავიდან. კარგი ოჯახი გვქონდა, მაგრამ ხანკას ნოსტალგია მოეძალა. სამშობლოსკენ მიუწევდა გული. ქალი თვალსა და ხელს შუა მეცლებოდა. რა მექნა? თავად ვერ შეველიე თბილისს, მეუღლე კი გავუშვი თავის სამშობლოში. მართალია, პოლონეთში მას აღარავინ ჰყავდა. ჰიტლერელებმა ყველა ახლობელი დაუხოცეს, მაგრამ მშობლიური მიწა უხმობდა. გამიგებთ ალბათ, პატარა კოტეს წაყვანაზე უარი ვერ ვუთხარი. მით უმეტეს, უფროსი ქალ-ვაჟი, პირველი ქორწინებიდან რომ მყავს, ჩემთან რჩებოდნენ. დედა-შვილი ვარშავაში დასახლდა. ხანკამ მუშაობა დაიწყო საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის მთავარ სამმართველოში. რა თქმა უნდა, კავშირი არასოდეს გაგვიწყვეტია.

მოგონებებმა ააფორიაქეს გიორგი. იგი შეჩერდა. თვალები ნაღველით აევსო. მერე რაღაც გაახსენდა, გაიღიმა.

— კოტე საქართველოს ბოლოს 1967 წელს ესტუმრა, — განაგრძო მასპინძელმა. — მთხოვა კვლავ ვეწვიოთ ფასანაურს, კაიშაური და კაიშაურის დიდი ველი გავიაროთ, არაგვზე გადავიდეთ და ქვეშეთში ჩავიდეთო. ამ გზით გავატარე პოლონეთში გამგზავრებამდე, რათა პატარას გულში სამუდამოდ ჩარჩენოდა მშობლიური კუთხე.

ჩვენ ხშირად ტელეფონით ვსაუბრობთ, სამწუხაროდ, მხოლოდ პოლონურად. კოტეს ძალიან გაუღარიბდა ქართული ლექსიკონი. მთხოვა წიგნები, სახელმძღვანელოები და ქართულს საფუძვლიანად ჩაუჯდა. მჯერა, მალე ისე ილაპარაკებს, როგორც ბავშვობაში. მან კარგად იცის რუსული, ინგლისური და შვედური ენები, პოლონურზე რომ არაფერი ვთქვათ. სტოკჰოლმში გადავიდა ლიცეუმის, ჩვენებურად საშუალო სკოლის დასამთავრებლად. ახლა მეთორმეტე, ბოლო კლასშია. მწერს, ატესტატს რომ ავიღებ, ვარშავაში ან თბილისში დავბრუნდებიო. იგი ხომ საბჭოთა კავშირის ქვეშევრდომია. მაგრამ არ ვიცი, დედას თავს როგორ დაანებებს.

კოტეს, ასე ვთქვათ, საჭადრაკო კარიერა, თბილისში დაიწყო. მისი მუდმივი მეტოქე უფროსი ძმა ჯიმშერი იყო. ვარშავაში ბავშვი უფრო სერიოზულად დაინტერესდა ჭადრაკით. ჩანს, ნიჭი აღმოაჩნდა. ადგილობრივმა კლუბმა ყურადღება მიაქცია. შარშან კოტემ გაიმარჯვა ვარშაველ ჭაბუკთა შეჯიბრებაში. მერე კი პოლონეთის ჩემპიონიც გახდა. ამ წარმატებებმა გზა გაუკაფა დიდი სარბიელისკენ. მანამდე ვარშავის გათავისუფლების 25 წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტური ქვეყნების ჭაბუკ მოჭადრაკეთა ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა. შარშან ზაფხულში კოტემ საბერძნეთში ჭაბუკთა მსოფლიო პირველობაში ითამაშა. წლეულს კი შვეციის ჭაბუკებს აჯობა და ევროპის პირველი ჩემპიონატის საგზური მას მისცეს.

როგორია კოტეს მომავლის გეგმები? დედამისი ამბობს, რომ ლიცეუმში იგი წარჩინებულ მოსწავლედაა აღიარებული, ძალიან ძლიერია მათემატიკასა და ქიმიაში. შემდგომ ალბათ ერთ-ერთი ამ მეცნიერების შესწავლას შეუდგება. ვფიქრობ, ჭადრაკს თავს არ დაანებებს. პირიქით, მეტი გატაცებით გაჰყვება ამ გზას, რაკი წარმატებები მოიპოვა.

დასასრულს გიორგიმ გვითხრა:

— შვეციაში მინდა წავიდე. კოტეს აუცილებლად გადავცემ, რომ მისი წარმატებები საქართველოშიც ყველას ახარებს!

**თ. გიორგაძე.**

• • •



სურათზე: კოტე კაიშაური.

# სპორტული იანვარი

ახალი წლის პირველი თვე ბევრ საინტერესო შეჯიბრებას გვპირდება. გაგაცნობთ მათ შორის უმთავრეს ტურნირებს.

## აფროსნობა

25. I.-2. II. საკავშირო შეჯიბრება (სოჭი).

## ბიატლონი

8-12. საერთაშორისო შეჯიბრება (იტალია).

22-25. სსრ კავშირის თასი (იუჟნო-სახალინსკი).

29-31. სსრ კავშირის იუნიორთა თასი (ცესისი).

## თავისუფალი ჭიდაობა

22-23. საერთაშორისო შეჯიბრება (საფრანგეთი).

## კალათბურთი

8-10. ჭაბუკთა საერთაშორისო შეჯიბრება (ტალინი).

13. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება ქალთა გუნდებს შორის: „სპარტა" (პრაღა) — ტტტ (რიგა). ჩეხოსლოვაკია.

19. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშება ქალთა გუნდებს შორის: „სპარტაკი" (ლენინგრადი) — „სლავია" (პრაღა). ლენინგრადი.

20. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება ქალთა გუნდებს შორის: „მარიცა" (პლოვდივი) — ტტტ (რიგა). ბულგარეთი.

22-30. სსრ კავშირის ჩემპიონატი ვაჟთა გუნდებს შორის. „ა" კლასის II ჯგუფის I ტური (ნიკოლაევი).

24-31. სსრ კავშირის ჩემპიონატი ქალთა გუნდებს შორის. „ა" კლასის II ჯგუფის I ტური (ნოვოსიბირსკი, პენზა).

25-31. სსრ კავშირის ჩემპიონატი ქალთა გუნდებს შორის. „ა" კლასის I ჯგუფი (ელექტროსტალი).

## კლასიკური ჭიდაობა

22-23. საერთაშორისო შეჯიბრება (საფრანგეთი).

28-30. საერთაშორისო შეჯიბრება (თბილისი).

28-30. საერთაშორისო შეჯიბრება (შვეცია).

## მაგიდის ჩოგბურთი

8-12. გოგონათა და ჭაბუკთა საკავშირო პირველობა (კაუნასი).

13-15. ევროპის პირველი ლიგის საერთაშორისო შეჯიბრება (ინგლისი).

18-21. ზამთრის საკავშირო შეჯიბრება (გორკი).

## სათხილამურო სპორტი

9. „ბაკურიანის თასი" (რბოლები, ბაკურიანი).

9-10. იუნიორთა საკავშირო შეჯიბრება (ორჭიდი, ლენინგრადი).

9-11. საერთაშორისო შეჯიბრება (რბოლები, იტალია).

15-18. სსრ კავშირის თასი (რბოლები, ბაკურიანი).

16-17. სსრ კავშირის თასი (ორჭიდი, იუჟნო-სახალინსკი).

21-22. საერთაშორისო შეჯიბრება (ორჭიდი, გფრ).

21-23. საერთაშორისო შეჯიბრება (ორჭიდი, საფრანგეთი).

28-30. გოგონათა და ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრება (რბოლები, ბაკურიანი).

## სამთოსათხილამურო სპორტი

8-10. საერთაშორისო შეჯიბრება (ავსტრია).

8-11. საერთაშორისო შეჯიბრება (კიროვსკი).

8-19. საერთაშორისო შეჯიბრება (იუგოსლავია, ავსტრია, შვეიცარია).

11-16. სსრ კავშირის თასის პროგრამით — „ვერცხლის ედელვაისის" პრიზის გათამაშება (ალმა-ათა).

15-16. იუნიორთა ევროპული პირველობა (იტალია).

21-24. სსრ კავშირის თასის პროგრამით — გაზეთ „ლელოს" პრიზის გათამაშება (ბაკურიანი).

31. I-3. II. სსრ კავშირის თასის პროგრამით — „კარპატების" პრიზის გათამაშება (სლავსკოე).

## საციგაო სპორტი

8-9. საერთაშორისო შეჯიბრება (ავსტრია).

8-10. გოგონათა და ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრება (ბრატსკი).

10-16. ევროპის ჩემპიონატი (საფრანგეთი).

21-23. საერთაშორისო შეჯიბრება (გფრ).

## საციგურაო სპორტი

8-9. სსრ კავშირის თასის გათამაშება მრავალჭიდში და ცალკეულ დისტანციებზე (ალმა-ათა).

8-12. საერთაშორისო შეჯიბრება (გფრ, ავსტრია, იტალია).

11-12. იუნიორთა საკავშირო პირველობა. წინასწარი შეჯიბრება (ალმა-ათა).

13. სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების სპორტსმენთა საკავშირო შეჯიბრება. წინასწარი ტურნირი (ალმა-ათა).

15-16. ევროპის ჩემპიონატი ქალთა შორის (გფრ).

16-18. სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების სპორტსმენთა საკავშირო შეჯიბრების ფინალი (ალმა-ათა).

19-21. იუნიორთა საკავშირო პირველობის ფინალი (ალმა-ათა).

20-28. პროფკავშირთა საკავშირო პირადი პირველობა უცხოეთის ქვეყნების მუშათა სპორტული კავშირების წევრთა მონაწილეობით (ალმა-ათა).

22-23. ევროპის ჩემპიონატი ვაჟთა შორის (შვეიცარია).

## ტრამპლინიდან ხტომა

8-12. მუშათა სპორტული კავშირების წევრთა საერთაშორისო შეჯიბრება (იუგოსლავია, იტალია, ავსტრია).

9-10. იუნიორთა საკავშირო შეჯიბრება (ლენინგრადი).

15-16. საერთაშორისო შეჯიბრება (შვეიცარია).

16. სსრ კავშირის თასის გათამაშება (ბაკურიანი).

## ფარიკაობა

15-19. სსრ კავშირის თასის გათამაშება (ვორონეჟი).

29. I-1. II. იუნიორთა საკავშირო პირველობა (ყაზანი).

## ფიგურული ციგურაობა

11-16. ევროპის ჩემპიონატი (შვეცია).

## ფრენბურთი

15-20. სსრ კავშირის ჩემპიონატი ვაჟთა გუნდებს შორის. „ა" კლასის I ჯგუფი, I წრე, I ტური (ტალინი, ხარკოვი).

15-23. სსრ კავშირის ჩემპიონატი ქალთა გუნდებს შორის. „ა" კლასის I ჯგუფი, I წრე (ოდესა).

15-23. სსრ კავშირის ჩემპიონატი ქალთა გუნდებს შორის. „ა" კლასის II ჯგუფის I ტური (სვერდლოვსკი, ტულა).

25-30. სსრ კავშირის ჩემპიონატი ვაჟთა გუნდებს შორის. „ა" კლასის II ჯგუფის I ტური (თბილისი, ფრუნზე).

## ჩოგბურთი

31. I-3. II. ზამთრის საკავშირო შეჯიბრება (კიევი).

## ძიუდო

15-17. საერთაშორისო შეჯიბრება (საფრანგეთი).

## ჭადრაკი

8-14. გოგონათა და ჭაბუკთა საკავშირო პირველობა (ჩერნიგოვი).

10-29. საერთაშორისო ტურნირი (ჰოლანდია).

26. I.-15. II. ახალგაზრდა ოსტატთა საკავშირო პირველობა (რიგა).

## ხელბურთი

8-9. გფრ-ისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების შეჯიბრება (გფრ).

9. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება ქალთა გუნდებს შორის: „ვაჟდოვაცი" (იუგოსლავია) — „სპარტაკი" (კიევი). იუგოსლავია.

23. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება ქალთა გუნდებს შორის: „სპარტაკი" (კიევი) — „ვაჟდოვაცი" (იუგოსლავია). კიევი.

## ჰოკეი

19-22. ფინეთისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების მატჩები (ფინეთი).

23-27. შვეციისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების მატჩები (შვეცია).

25-30. რუმინეთისა და სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრები გუნდების მატჩები (რუმინეთი).

# ათი დღე ჰავანაში

კუბაში ფარიკაობას კარგა ხნის ისტორია აქვს. ამ ქვეყანაში სპორტის ეს სახეობა წინა საუკუნეში ევროპიდან შეიტანეს. ტემპერამენტიან და მარდ კუბელებს იმთავითვე მოეწონათ მუშკეტერთა სპორტი. მას შემდეგ კუბაში ხშირად იმართება მოფარიკავეთა შეჯიბრებები.

1900 წელს გამოჩენილმა კუბელმა სპორტსმენმა რამონ ფონსტმა ოლიმპიურ თამაშებში ოქროს მედალი მოიპოვა დაშნით ფარიკაობაში. ეს თვალსაჩინო მიღწევა შემთხვევითი რომ არ იყო, ფონსტმა მომდევნო ოლიმპიადაში დაამტკიცა. აქ მან გაიმარჯვა ერთბაშად ორ სახეობაში — დაშნითა და რაპირით ბრძოლაში, რაც იშვიათი შემთხვევაა ოლიმპიური თამაშების ისტორიაში.

სწორედ ამ შესანიშნავი სპორტსმენის სახელობის ტურნირში იასპარეზეს ქართველმა მოფარიკავეებმა ამას წინათ ჰავანაში. ამ ერთობ პოპულარულ შეჯიბრებას საფუძველი 1966 წელს ჩაეყარა. უნდა ითქვას, რომ მეტად საინტერესო გამოდგა პირველივე ტურნირი, რომელშიც ქართველმა მუშკეტერებმაც მიიღეს მონაწილეობა. მაშინ, 1966 წელს, რამონ ფონსტის სახელობის თასი მოიპოვეს ცნობილმა ოსტატებმა ნ. ასათიანმა და ი. ოსიპოვმა. 1968 წელს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ა. გაგულაშვილი შინ გამარჯვებული დაბრუნდა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კუბელი მოფარიკავეები მაშინ არ წარმოადგენდნენ საშიშ ძალას. მაგრამ აი, შარშან მაისში გამართულ საერთაშორისო სამატჩო შეხვედრაში თავისუფლების კუნძულის სპორტსმენებმა არა მარტო მედგარი წინააღმდეგობა გაგვიწიეს, არამედ მოგვიგეს კიდეც შეხვედრა 3:1.

უნდა ითქვას, რომ ამჟამად კუბაში ფარიკაობა მეტად პოპულარული სპორტია. ამ სახეობას მისდევენ არა მარტო ჰავანაში, არამედ პროვინციულ ქალაქებშიც. შემთხვევითი არ არის კუბელების წარმატება პანამერიკულ თამაშებში. ისინი სისტემატურად მონაწილეობენ მსოფლიო ჩემპიონატებშიც.

და აი, საქართველოს წარგზავნილებმა გეზი თავისუფლების კუნძულისკენ ავიღეთ. ჩვენი დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ მწვრთნელი ტ. მესხი, ნ. ჩიტიშვილი, მ. კოხრეიძე, რ. კეკელია-სურმავა, ტ. ნოზაძე, დ. შარაშენიძე, ი. სიხარულიძე და ამ სტრიქონების ავტორი.

ექვსი საათის ფრენის შემდეგ პირველად რაბატის აეროპორტში შევისვენეთ, სადაც თითქმის ერთს საათს დავრჩით.

მოსკოვიდან საღამოს გადმოვფრინდით, ჰავანაში კი გარიჟრაჟზე ჩავედით. ასეთი გრძელი ღამე ჩვენთვის ძალზე უჩვეულო იყო.

და აი, ჰავანაში ვართ. აეროდრომზე ყვავილების თაიგულებით შეგვეგებნენ კუბელი მეგობრები, შეჯიბრების ორგანიზატორები, ჟურნალისტები. მათ ყველაფერი აინტერესებდათ, ვინ იყო ჩვენს დელეგაციაში, რატომ ჩამოვედით ასეთი შემადგენლობით და სხვა.

დავბინავდით სასტუმრო „ჰავანალიბრაში", რაც ქართულად თავისუფალ ჰავანას ნიშნავს.

იმ დღესვე შემოგვთავაზეს ქალაქი დაგვეთვალიერებინა და მიუხედავად იმისა, რომ გვარიანად დაღლილები ვიყავით, დავთანხმდით. ბევრი რამ გაგვიგო კუბის დედაქალაქის სილამაზის შესახებ. ახლა შესაძლებლობა მოგვეცა ჩვენი თვალით გვეხილა ეს მშვენიერება და უარს როგორ ვიტყოდით?

მართლაც, ჰავანა ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია იმათგან, რომლებიც მე მინახავს.

რამონ ფონსტის ტურნირი 27-30 ოქტომბერს უნდა ჩატარებულიყო, ჩვენ კი 22 ოქტომბერს ჩავფრინდით ჰავანაში. ალბათ, შეჯიბრების ორგანიზატორებმა აკლიმატიზაციის მნიშვნელობაც გაითვალისწინეს.

საასპარეზოდ ჩამოვიდნენ ბულგარელები, უნგრელები, პუერტო-რიკოს მოფარიკავეები და სპორტსმენები ანტილის კუნძულებიდან.

შეჯიბრება რაპირისტმა ვაჟებმა გახსნეს. ძალზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე ფარიკაობის ულამაზესმა სასახლემ. ამ სასახლეში თურმე უწინ საზეიმო ცერემონიალები იმართებოდა და გამოფენებიც ეწყობოდა.

რაპირისტ ვაჟთა შეჯიბრებაში 41 კაცი ჩაება. მათგან 6 სპორტსმენი ფინალში გავიდოდა. ჩვენდა სასიხაროდ ამ ექვსეულში ადგილი ორმა ქართველმაც დაიკავა. (ჩვენგან შეჯიბრებაში ორი რაპირისტი გამოდიოდა). დანარჩენმა მონაწილეებმა მაყურებლებში გადაინაცვლეს და ექვსეულთა ბრძოლებს ადევნებდნენ თვალს.

შეჯიბრების დაწყებისას ერთ-ერთმა კუბელმა ჟურნალისტმა ტრისტან ნოზაძეს ჰკითხა: — თქვენი აზრით, ვინ გაიმარჯვებს რაპირისტთა ასპარეზობაშიო? ტრისტანმა უყოყმანოდ უპასუხა: — გამარჯვებული ან კუბელი იქნება ან ქართველიო. მართალი გითხრათ, ეს განცხადება ჩვენი მოფარიკავისგან ერთობ გაბედულად მომეჩვენა. მაგრამ, საბედნიეროდ ნოზაძე მართალი გამოდგა. ფინიშის სწორზე კუბელებს ი. ჰილს, ი. სალვაცსა და ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელ ნოზაძეს თოხ-თოხი მოგება დაუგროვდათ და მათ შორის I ადგილის ბედის გადასაწყვეტად დამატებითი ბრძოლა დაინიშნა. ასეთ სიტუაციაში სამივე სპორტსმენმა თითო ბრძოლა მოიგო და ამდენივე წააგო. აქ საქმეში ჩაერია შეჯიბრების არითმეტიკა და ჩხვლეტების უკეთესი შეფარდებით უპირატესობა ი. ჰილს ხვდა. II ადგილი დაიკავა ი. სალვაცმა, III — ნოზაძემ. ჩვენი რესპუბლიკის მეორე წარმომადგენელი ნ. ჩიტიშვილი IV ადგილზე დარჩა. სამწუხაროდ, ნოდარმა ამ შეჯიბრებაში მთლიანად ვერ გამოავლინა თავისი შესაძლებლობები.

სამაგიეროდ, გაგვახარა ხმლით მოფარიკავემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა დ. შარაშენიძემ. მან შეჯიბრებაში, რომელშიც 36 მუშკეტერი მონაწილეობდა, I ადგილი არავის დაუთმო. მართლაც დიმიტრიმ ამ დღეს შესანიშნავად იფარიკავა — მეტოქეებზე ძლიერი იყო როგორც ტექნიკურად, ისე ტაქტიკურად. მან ისე დაამთავრა შეჯიბრება, რომ არც ერთი შეხვედრა არ წაუგია.

ძალზე საინტერესო გამოდგა შარაშენიძის ფინალური ორთაბრძოლა კუბელ მ. ორტისტთან. ქართველმა სპორტსმენმა ბრძოლა ძალიან საინტერესოდ წარმართა, ნამდვილი სპორტსმენის ხასიათი და მიზანსწრაფულობა გამოავლინა. მაშინაც, როცა ანგარიში საყაიმო (4:4) იყო და გამარჯვების ბედი ერთადერთ ჩხვლეტას უნდა გადაეწყვიტა, შარაშენიძე თამამად, აუღელვებლად იბრძოდა. სწორედ ეს იყო მისი გამარჯვების მთავარი საწინდარი.

ყველასთვის მოულოდნელად, მწვავე ბრძოლა გააჩაღეს ქალებმა. ჩვენებიდან გამოდიოდნენ მ. კოხრეიძე და რ. კეკელია-სურმავა. სამწუხაროდ, პირველი ნახევარფინალში გამოეთიშა შეჯიბრებას. კეკელია-სურმავამ კი IV ადგილი დაიკავა. I ადგილზე პრეტენზიას აცხადებდნენ კუბელები მ. როდრიგესი, მ. ტაკ-ფანგი, უნგრელი გ. მაროში. სწორედ მათ შორის გაიმართა უშეღავათო ბრძოლები გამარჯვებისთვის. ერთი შეხედვით, სხვებზე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა ტაკ-ფანგი, მაგრამ მანაც ვერაფერი დააკლო როდრიგესთან (სხვათა შორის, როდრიგესი ცაციაა და მასთან ბრძოლა ყველას უჭირს) და I ადგილიც დაუთმო. III ადგილზე გავიდა მაროში.

როცა მსაჯებმა ბილიკზე დაშნით მოფარიკავეებს უხმეს, ფინალისტთა შორის არ იყო ი. სიხარულიძე. მან ნახევარფინალით დაამთავრა შეჯიბრება.

კუბელი დაშნით მოფარიკავეები ფიზიკურად და ტექნიკურად კარგად მომზადებულნი აღმოჩნდნენ, და მაინც, I ადგილი უნგრელმა მ. მუშკოვსკიმ დაიკავა.

რამონ ფონსტის ტურნირში მონაწილეობა ჩვენი რესპუბლიკის მოფარიკავეებისთვის მრავალმხრივ საყურადღებო აღმოჩნდა. ამ შეჯიბრებამ გამოავლინა ზოგიერთი ნაკლი, რომელთაც ჩვენი მწვრთნელები, სპეციალისტები და სპორტსმენები გაანალიზებენ და გამოიტანენ სათანადო დასკვნებს, რაც შემდგომი წარმატებების საწინდარი იქნება.

კუბაში გატარებული ათი დღე სამუდამოდ დარჩება ჩვენს მეხსიერებაში. კუბელმა მეგობრებმა არაფერი დაიშურეს, რომ თავისუფლების კუნძულის დედაქალაქში თავი კარგად გვეგრძნო. დაუვიწყარია ლამაზი ჰავანა, ქალაქის ნათელი, ჰაეროვანი არქიტექტურა, მაგრამ განსაკუთრებული შთაბეჭდილება მაინც ჩვენი საუკუნის უდიდესი მწერლის ერნესტ ჰემინგუეის სახლ-მუზეუმში მივიღეთ.

უნებურად გახსენდება მისი უკვდავი ნაწარმოებები. გიხარია, რომ ხარ იმ სახლში, რომელშიც უცხოვრია და სიცოცხლის უკანასკნელი წლები გაუტარებია „მშვიდობით იარაღოს", „რისთვის რეკს ზარების", „მოხუცი და ზღვის" ავტორს. ამ ოთახებში ყველაფერი ისე ხელუხლებელი დარჩა, როგორც მწერლის სიცოცხლის უკანასკნელ დღეს იყო. და გექმნება შთაბეჭდილება, თითქოს აი, ახლა შემოვა სახლის პატრონი და საბეჭდ მანქანას მიუჯდება.

**ა. მეიფარიანი,**
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, დელეგაციის ხელმძღვანელი.



ორთაბრძოლა. ა. ხააკოვის ფოტო.



# ემზადებიან...

მშვილდოსნობა ოლიმპიადების პროგრამაში შეიტანეს. თანამედროვე რობინ ჰუდების პირველი ასპარეზობა მიუნხენში გაიმართება და, ცხადია, ყველას სურს თავის გამოჩენა. იმ ქვეყნებში, სადაც ეს სახეობაა დანერგილი, XX ოლიმპიური თამაშებისთვის მზადება დიდი ხანია დაიწყეს: ეროვნული ჩემპიონატები სწორედ ოლიმპიური პროგრამით („მ-2" ვარჯიში) გამართეს, ძლიერები საერთაშორისო ტურნირებსა და მსოფლიო ჩემპიონატში გამოცადეს და, როცა სეზონი დამთავრდა, შენიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისთვის დაიწყეს ზრუნვა. საზრუნავი კი ყველგან ბევრი აქვთ. თამაშების დებულებით, ოლიმპიადის სარბიელზე მხოლოდ ის სპორტსმენები დაიშვებიან, რომლებიც, სულ ცოტა, ოთხ დიდ საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვებენ და საჭირო ქულებს დააგროვებენ.

დიდი სტარტებისთვის სსრ კავშირშიც ემზადებიან. ჩვენ ცუდი სპორტსმენები როდი გვყავს, მაგრამ განსაკუთრებით ძლიერი მაინც ქალთა ნაკრებია. გუნდის ლიდერი, მოსკოველი ინჟინერი ე. გაპჩენკო გასულ სეზონში ინგლისის ქალაქ იორკში გამართულ მსოფლიო პირველობაში 2380 ქულით (მსოფლიო რეკორდი) აბსოლუტური ჩემპიონი გახდა. სსრ კავშირის ოლიმპიურ ნაკრებში გაპჩენკოს მხარს უმშვენებენ ხალხთა V სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონი და ქვეყნის თასის მფლობელი, თბილისელი ოსტატი ლ. ასატუროვა, ქუთაისელი ოსტატი ქ. ლოსაბერიძე და სხვები.

ნაკრების ზემოჩამოთვლილ წევრთაგან გაპჩენკოს ყველაზე მეტი „სტაჟი" აქვს: იგი 7 წელია სპორტის დამსახურებული ოსტატის მ. ზაიცევის ხელმძღვანელობით ვარჯიშობს.

სურათზე: ე. გაპჩენკო ქ. იორკის სასროლეთზე.

ტასს—ასს-ის ფოტო.

# საწვრთნელი ბაზა ნაკრებისთვის

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს (ეროვნული ნაკრები, ოლიმპიური, ახალგაზრდული და სხვ.) არა აქვთ საკუთარი საწვრთნელი ბაზა. მართალია, ნაკრების წევრები ძირითად მზადებას თავიანთ კლუბებში გადიან, მაგრამ როცა საქმე მიდგება ხოლმე შეკრებაზე უშუალოდ დიდი შეჯიბრებების წინ, გუნდების ხელმძღვანელობანი გარკვეულ სიძნელეებს განიცდიან, საჭირო ხდება ბაზის გამოძებნა, მოთამაშეთათვის სათანადო პირობების შექმნა.

ამიერიდან ეს მეტად საპასუხისმგებლო საქმე გადაწყდება ერთხელ და სამუდამოდ. მოსკოვის მახლობლად, ქ. ნოვოგორსკში, შენდება ახალი, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი, პირველხარისხოვანი სავარჯიშო ბაზა სსრ კავშირის ნაკრების ფეხბურთელთათვის.

ბაზა კომპლექსურია. მას ექნება საძილე და სამეურნეო კორპუსები, სასადილო ბლოკი, გადახურული დარბაზი, მანეჟი, ელექტროქვესადგური, საქვაბე, სამრეცხაო, კლუბი, სამკითხველო, ვრცელი საწვრთნელი კომპლექსი, 3 სათამაშო მინდორი და ა. შ. აქ ყველაფერი კეთდება ინდივიდუალური პროექტით, მთელი რიგი ობიექტები უნიკალური დეტალებისგან მზადდება.

საფეხბურთო ბაზის პირველი რიგი მწყობრში ჩადგება წლეულს გაზაფხულზე.



# 10 საუკეთესო მსაჯი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ დაამტკიცა რესპუბლიკის საუკეთესო მსაჯთა ათეული 1971 წლის შედეგების მიხედვით (გვარები განლაგებულია ანბანის მიხედვით):

დ. აბუთიძე (ქუთაისი), გ. გვანცელაძე (თბილისი), ა. ვარდიაშვილი (თბილისი), თ. კალანდაძე (თბილისი), ვ. მიმინოშვილი (თბილისი), მ. ნადიროვი (რუსთავი), გ. პოღოსიანი (სოხუმი), უ. ფურცელაძე (თბილისი), ჟ. ძნელაძე (თბილისი), ლ. ჯოხაძე (ხაშური).

კლასიფიკაციაში არ არიან შეყვანილი ის მსაჯები, რომლებიც უმაღლესი ლიგის გუნდების მატჩებს უწევენ მომსახურებას.

# რა არის „უოტნის თასი"

ინგლისი, მოგეხსენებათ, ფეხბურთის სამშობლოა და საფეხბურთო ცხოვრება იქ დუღს და გადმოდუღს. ამ ქვეყნის კლუბები სისტემატურად მონაწილეობენ საერთაშორისო ოფიციალურ შეჯიბრებებში, ნაკრები გუნდი გამოდის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, ოლიმპიურ თამაშებში, დიდი ბრიტანეთის პირველობაზე, თვით ინგლისში ეროვნული ჩემპიონატისა და თასის გათამაშების გარდა რეგულარულად იმართება სხვადასხვა სახის ტურნირები.

არის კიდევ შეჯიბრება, რომელსაც ეწოდება „უოტნის თასი", რომელიც ლუდის სახელმა მსხვილმა კონცერნმა დააწესა თავისი პროდუქციის რეკლამისთვის. ლუდი და ფეხბურთი, თითქოს, ანტიპოდური მცნებებია, მაგრამ რახან კონცერნმა სარეკლამოდ სწორედ ფეხბურთი აირჩია, სადავო არავის არაფერი აქვს.

დებულების თანახმად, „უოტნის თასის" გათამაშებაში დაიშვება 2-2 გუნდი ოთხივე ინგლისური პროფესიული ლიგიდან, მაგრამ მონაწილეთა შერჩევა ხდება არა ლიგებში დაკავებული საერთო ადგილებით, არამედ შედეგიანობის პრინციპით, ე. ი. ვინც მეტ ბურთს გაიტანს. ეს თვით კონცერნის პირობაა, რათა მეტი მაყურებელი მიიზიდოს მატჩებზე. რაც უფრო მეტია გოლები, მეტია ინტერესიც და ე. ი. — მაყურებელიც.

თავისთავად „უოტნის თასის" გათამაშება არ იქნებოდა საგანგებოდ გამორჩეული სხვებისგან, მაგრამ მას აქვს თავისი სპეციფიკა, რომლითაც იგი გარკვეულ ყურადღებას იპყრობს.

ფეხბურთის მოყვარულებმა იციან, რომ საფეხბურთო წრეებში, მიმომხილველთა და სპეციალისტთა შორის ბოლო წლებში სულ უფრო ხშირად ისმის ლაპარაკი თამაშის წესებში ცვლილებათა შეტანის აუცილებლობაზე. კერძოდ, ინგლისელებმა, რომლებიც საერთოდ ტრადიციონალიზმით და კონსერვატულობით არიან ცნობილი, ახლა ხელი გამოიღეს და წინადადება წამოაყენეს მოდერნიზებულ იქნას „თამაშგარე მდგომარეობის" არსებული წესი. ინგლისელებმა საფეხბურთო წესების საერთაშორისო საბჭოში შეიტანეს წინადადება „თამაშგარე მდგომარეობა" ფიქსირებულ იქნას არა ისე, როგორც ახლა ხდება, არამედ მხოლოდ საჯარიმო მოედნის ფარგლებში. ამ წინადადებას მომხრეებიც ჰყავს და შეურიგებელი მოწინააღმდეგეებიც გააჩნია. ამიტომ საფეხბურთო წესების საერთაშორისო საბჭომ გადაწყვიტა ყოველნაირი ექსპერიმენტი ამ მიმართებით აწარმოოს სწორედ „უოტნის თასის" მატჩებში.

უცხოელი მიმომხილველები ერთხმად აღნიშნავენ, რომ „თამაშგარე მდგომარეობის" ახალი ფიქსირების წესი ძალზე საინტერესო გამოდგა. „უოტნის თასის" ფინალურ მატჩს I ლიგის ცნობილ კლუბ „ვესტ ბრომვიჩ ალბიონსა" და IV ლიგის „კოლჩესტერს" შორის ესწრებოდნენ ფრანგი, ბელგიელი, გერმანელი, იტალიელი, შვედი, ჰოლანდიელი ჟურნალისტები, რომლებიც მოწმენი იყვნენ დაძაბული ბრძოლისა, ორივე გუნდის მხარეს ხშირად იქმნებოდა საინტერესო სიტუაციები, მაყურებლებს მოწყენა არ ჰქონდათ. მატჩი, როგორც მოსალოდნელი იყო, უხვგოლიანი გამოდგა — 4:4 და პენალტების სერიამ გამარჯვება „კოლჩესტერს" მოუტანა.

„ფრანს ფუტბოლის" ცნობილი მიმომხილველი ჟ. ლეკოკი აღნიშნავს, რომ „თამაშგარე მდგომარეობის" ახალმა წესმა ხელ-ფეხი გაუხსნა ფორვარდებს, ისინი თამამად მოქმედებდნენ საჯარიმო მოედნის ფარგლებს გარეთ, იგონებდნენ ახალ კომბინაციებს, მეტ ხიფათს უქმნიდნენ კარს, მცველებს აღარ შეელით თავიანთ საჯარიმო მოედანზე თავშეყრა და კონცენტრაცია, საჭირო შეიქნა ახალი დაცვითი ურთიერთმოქმედებების შემუშავება. რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ ფინალური მატჩის მსვლელობაში მსაჯს სულ ორჯერ მოუხდა „ოფსაიდის" დასტვენა.

ჟ. ლეკოკი, მაგალითად, აღწერს შეხვედრის ერთ ასეთ მომენტს: „ვესტ ბრომვიჩ ალბიონის" კარში 20 მეტრის მანძილიდან დანიშნეს საჯარიმო დარტყმა. „ვესტ ბრომვიჩის" მცველებმა ჩვეულებისამებრ კედელი აღმართეს, მაგრამ „კოლჩესტერის" მოთამაშემ ბურთი მიაწოდა პარტნიორს, რომელიც საჯარიმო მოედნის ფარგლებს გარეთ იმყოფებოდა პირითი ხაზის სიახლოვეს. სანამ მცველები ახალ პოზიციას დაიკავებდნენ, მოთამაშე სწრაფად შეიჭრა მეკარის პირისპირ და გოლი გაიტანა. „კოლჩესტერის" მწვრთნელმა დ. გრეჰემმა ჟურნალისტებს დაუდასტურა, რომ ეს კომბინაცია მან წინასწარ დაამუშავა თავის მოთამაშეებთან.

რას მოგვცემს „უოტნის თასის" ექსპერიმენტები, რა სიახლე ელის ფეხბურთს? ამაზე პასუხის გაცემა ახლა ძნელია. ეტყობა, უნდა დავუცადოთ საფეხბურთო წესების საერთაშორისო საბჭოს სესიას, რომელიც ივნისში განიხილავს ზემოაღნიშნულ საკითხს.

# მოციგავეები... აეროდინამიკურ მილში

ორიგინალურად ამოწმებენ მზადყოფნას „თეთრი ოლიმპიადის" წინ სპორტის ზამთრის სახეობების ავსტრიელი ოსტატები. მაგალითად, სამთომოთხილამურეთა შემდეგ აეროდინამიკურ მილში ექსპერიმენტები ჩაატარეს მოციგავეთა ოლიმპიური ნაკრები გუნდის წევრებმა.

ექსპერიმენტის დროს იმიტირებული იყო ციგების მოძრაობა საათში 110 კმ-ის სისწრაფით. სპეციალისტთა აზრით, საპოროს ოლიმპიურ ტრასაზე ასეთი სიჩქარის მიღწევა შესაძლებელი იქნება. გამოცდის მიზანი გახლდათ მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციის მიღება იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს მრბოლელის პოზა ტრასაზე. მიღებულია საინტერესო მონაცემები ჰაერის წინააღმდეგობაზე თავის, ხელების, სხეულის, ფეხების სხვადასხვა მდგომარეობის დროს. ამ მონაცემების საფუძველზე შესაძლებელი გახდება სპორტსმენთა უკეთ მომზადება.

ამ გამოცდაში მონაწილეობა მიიღეს ოლიმპიურმა ჩემპიონმა მ. შმიდმა, მსოფლიო პირველობის ბრინჯაოს პრიზიორმა ი. ფაისტმანტლმა, ევროპის ვიცე-ჩემპიონმა ორადგილიანი ციგებით რბოლაში ე. ვალხმა, აგრეთვე რ. შმიდმა, ფ. შაპერერმა და გ. ლემერმა, ქალებიდან — ა. შაფერერმა, ა. მაერმა და მ. გრაფმა.

ადგილობრივი პრესა იუწყება, რომ ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგები ჯერჯერობით არ გამოქვეყნდება, რათა ავსტრიის გუნდმა ოლიმპიური თამაშებისთვის გამოიყენოს მიღებული მონაცემები. ავსტრიის საციგაო სპორტის ვიცე-პრეზიდენტმა ჰ. შაიმპფლუგმა პირდაპირ განაცხადა, რომ ჩატარებული გამოცდის შედეგები ავსტრიელებს საშუალებას მისცემს „სახტად დატოვონ მეტოქენი".

ვ. სოლოვიოვი.

ვენა.

# მრბოლელებს სიკვდილი არ უნდათ

შარშან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში „დიდ პრიზებზე" გამართული რბოლების დროს სამაჯერ გახდა საჭირო მოძრავი ჰოსპიტლის სასწრაფო დახმარება. მრბოლელთა სიცოცხლე ხშირად ბეწვზე ჰკიდია. „დიდი პრიზების" გათამაშებებში მონაწილე მრბოლელთა ასოციაციის მდივანმა ლუის სტენლიმ განაცხადა, რომ „იმათგან, ვინც ასოციაციის შეხვედრებში მონაწილეობდა სულ ორი წლის წინ, ოთხი კაცილა დარჩა, მაგრამ თავისი სურვილით ძალიან ცოტამ შეწყვიტა რბოლებში გამოსვლა..."

მრბოლელებს სიკვდილი არ უნდათ. ველოსპორტის მოყვარულთა ჯერებს სიცოცხლე სწყურიათ. სერთ სიბერის წლებში უამბონ შვილიშვილებს, როგორი მანქანები იყო მათ დროს, რა რბოლები ტარდებოდა, რომელი სპორტსმენები გამოდიოდნენ. წლეულს ასოციაციამ გადაწყვიტა იბრძოლოს, რომ ტრასების მეტისმეტად სახიფათო მოსახვევები გაუქმდეს.

ცნობილი შვეიცარიელი მრბოლელის იო ზიფერტის სიკვდილმა კვლავ დარაზმა მრბოლელები. სამედიცინო გამოკვლევამ დაადასტურა, რომ 35 წლის სპორტსმენი მანქანაში ავარიის შემდეგ დაიწვა, თუმცა სპეციალური დამცველი კოსტიუმი ეცვა. მის ტანსაცმელს შეეძლო ერთ წუთს გაეძლო ალისთვის, მაგრამ ამჯერად მეხანძრეებმა დააგვიანეს...

მანამდე, სანამ რბოლის დროს ტრასები ისე არ იქნება აღჭურვილი სპეციალური მოწყობილობით, რომ საჭირო შემთხვევაში მრბოლელმა დახმარება რამდენიმე წამში მიიღოს, შეჯიბრებები შეიძლება არ ჩატარდეს — ასეთია ასოციაციის მოთხოვნა. მანვე ორგანიზატორებს მოსთხოვა, რომ „დიდი პრიზების" დროს მუდამ მზად იყოს 6 სახანძრო მანქანა, დისტანციის წრის თავზე კი ბაკში სპეციალური შვეულმფრენი ტრიალებდეს. გამოცდამ უჩვენა, რომ ზოგჯერ შვეულმფრენის ხრახნებისგან დაძრულმა ჰაერის ნაკადმა შეიძლება ალი ჩააქროს. მთელს ტრასაზე უნდა მუშაობდეს სპეციალური სასიგნალო სისტემა, რათა მრბოლელებს დროულად აცნობონ, რა ხდება წინ.

რა თქმა უნდა, ასეთი ღონისძიებები აუცილებელია. ეჭვი არ არის, ეს შეამცირებს ტრაგიკულ შემთხვევებს რბოლის დროს, მაგრამ...

მანქანები ძალიან ხშირად ეჯახებიან გვერდით ზღუდეებს ან ცეცხლი ეკიდებათ იმის გამო, რომ მათი კონსტრუქცია სათანადოდ დამუშავებული არ არის. მრეწველები რბოლებზე უშვებენ ასეთ მანქანებს. მეტისმეტად დიდია ფირმების კონკურენცია გასაღების ბაზარზე, მეტისმეტად დიდია მოგების შანსი. მრბოლელებს შეუძლიათ პრეტენზია განუცხადონ ტრასების „მეპატრონეებს", მეხანძრეებს, მაგრამ მრეწველებს... წინააღმდეგობას ვერ გაუწევენ. პროტესტის ხმებს მაღალი ჰონორარი ახშობს, მკვდრები კი სდუმან...

ვ. ვლადიმიროვი.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 02511